პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

საჯარო სამსახურის ბიუროს შესაძლებლობების გაძლიერება საჯარო სამსახურის რეფორმის განსახორციელებლად

განხორციელების ვადა: 22.10.2018 - 30.11.2020

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 1 200 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Republic of Lithuania

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/CivilServiceBureau

პროექტის ვებსაიტები: csb.gov.ge/

პროექტის აღწერა:

პროექტის წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივის ნაწილს, რომლის დანიშნულებაც სახელმწიფო დაწესებულებების გაძლიერება და კარგი მმართველობის ჩამოყალიბებაა, ასოცირების შეთანხმების შესაბამისად.
პროექტი ემსახურება საჯარო სამსახურის ბიუროს ინსტიტუციური და ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარებას საქართველოში საჯარო სამსახურის რეფორმის ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.
პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში მაღალპროფესიული, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე საჯარო სამსახურის სიტემის ჩამოყალიბებასა და კარგი მმართველობის გაძლიერებას ლიეტუვას გამოცდილების გაზიარების გზით.

მოსალოდნელი შედეგები:

- საჯარო სამსახურის კანონმდებლობის საჯარო ადმინისტრირების პრინციპებთან მიახლოება „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ პრეამბულის დებულებებისა და თანაბარი შესაძლებლობების შესახებ დირექტივების შესაბამისად
- საჯარო სამსახურის ბიუროს სტრუქტურის და ფუნქციების გადახედვა საჯარო სამსახურის მართვაში, კოორდინირებასა და ზედამხედველობაში ბიუროს როლის გაფართოების მიზნით „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შსაბამისად
- ადამიანური რესურსების მართვის ყოვლისმომცველი პოლიტიკისა და ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მეთოდების შემუშავება; ადამიანური რესურსების მომზადების პლატფორმის შექმნა
- საჯარო სამსახურის ბიუროს ი.ტ. სისტემის გადახედვა და ი.ტ. ინსტრუმენტების ეფექტიანი განახლებისთვის მომზადება
- კომუნიკაციის ეფექტიანი ინსტრუმენტებისა და მასალების შემუშავების ხელშეწყობა ინფორმაციის სათანადოდ მიწოდების მიზნით